საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5499/01
02/06/2021

5499-01-2-202106021742

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N19

თქვენი 2021 წლის 21 მაისის N8846 წერილით წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობისა და ქ. ფოთში 110 კვ ქვესადგურისა და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ელექტროგადამცემი ხაზი „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანება) პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2020 წლის 7 ოქტომბერს გაცემული N79 სკოპინგის დასკვნით (ბრძანება N 2-900) მოთხოვნილი შემდეგი საკითხები:

- ეგხ-ს დერეფნის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები (shp ფაილებით) შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების ალტერნატივა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივა. **დოკუმენტში არ არის განხილული ელექტროგადამცემი ხაზის მდებარეობის ალტერნატივები;**
- საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე და სამრეწველო ობიექტებამდე. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ საპროექტო ანძებიდან უახლოესი მანძილები საცხოვრებელ სახლებამდე, დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის განაპირა სადენებიდან **უახლოესი მანძილები საცხოვრებელ სახლებამდე და სამრეწველო ობიექტებამდე, შესაბამის სიტუაციურ სქემაზე დატანით;**
- საპროექტო დერეფნის ფარგლებში მოქცეული კერძო მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთების მფლობელებთან კომუნიკაციისა და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საპროექტო ანძებამდე მისასვლელი გზების შესახებ დეტალური ინფორმაცია, **სქემა და shp ფაილები**;

- „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით განსაზღვრული ნორმების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- ეგხ-ს მიერ მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების მიზნით წარმოდგენილი უნდა იქნეს უახლოეს საცხოვრებელ და სხვა განაშენიანებების საზღვართან, **ელექტრული ველის დაძაბულობის საექსპერტო შეფასება.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე